ამ უკანასკნელ და (1.57) შეფასებებზე დაყრდნობით და იმ ფაქტის გათვალისწინებით, რომ $D_3 < 0$ გვაქვს: (1.43)-ით განსაზღვრული ფუნქცია პერიოდულია და მისთვის სრულდება (1.8). ამიტომ თეორემის მტკიცებიდან ადვილი დასანახია, რომ აღნიშნული ფუნქციისთვის აგრეთვე ძალაში რჩება (1.28)-(1.38), (1.41) და (1.42). განვიხილოთ

$$\lim_{n\to+\infty}\left|\frac{-\pi}{d_0(f_0)}\cdot\frac{\tilde{S}_n^{L_n}(f_0;0)}{\ln n}\right| = \lim_{n\to+\infty}\left|\frac{-\pi}{4}\cdot\frac{A_1+A_2+A_3}{\ln n}\right| =$$

$$= \lim_{n\to+\infty}\left|\frac{-\pi}{4}\cdot\frac{A_1}{\ln n}\right| = \lim_{n\to+\infty}\left|\frac{-\pi}{4}\cdot\frac{B_1+B_2}{\ln n}\right| = \lim_{n\to+\infty}\left|\frac{-\pi}{4}\cdot\frac{B_1}{\ln n}\right| =$$

$$= \lim_{n\to+\infty}\left|\frac{-\pi}{4}\cdot\frac{C_1+C_2}{\ln n}\right| = \lim_{n\to+\infty}\left|\frac{-\pi}{4}\cdot\frac{-D_1-D_2-D_3}{\ln n}+1\right| =$$

$$= \lim_{n\to+\infty}\left|\frac{\pi}{4}\cdot\frac{D_3}{\ln n}+1\right| < 1.$$

ეს უკანასკნელი შეფასება კი ამტკიცებს თეორემა 1.2.1-ის (*ii*) ნაწილს და ასრულებს თეორემის მტკიცებას.

თეორემა 1.2.2-ის დამტკიცება.

ცხადია თეორემა 1.2.2-ის მტკიცებისას გამოგვადგება თეორემა 1.2.1-ის მტკიცებისას გამოყენებული შეფასებების, წარმოდგენების და მეთოდების ნაწილი, რომელთა განხილვა თეორემა 1.2.2-ის მტკიცებაში აუცილებელი არ არის და

საკმარისი იქნებოდა მიგვეთითებინა შესაბამისი ფორმულის ნომერი, თუმცა მტკიცების სიცხადისათვის დამტკიცებას მოვიყვანთ სრულად.

განვიხილოთ $t_{n,\alpha_n}^{L_n}(f;x)$,

$$t_{n,\alpha_n}^{L_n}(f;x)=\frac{1}{A_n^{\alpha_n}}\sum_{k=0}^{n}A_{n-k}^{\alpha_n-1}\tilde{S}_k^{L_n}(f;x)=$$

$$=-\frac{1}{L_n}\int_{-L_n}^{L_n}f(t)\tau_{n,\alpha_n}^{L_n}(t-x)dt\ ,$$

სადაც

(1.58) $$\tau_{n,\alpha_n}^{L_n}(f;x)=\frac{1}{A_n^{\alpha_n}}\sum_{k=0}^{n}A_{n-k}^{\alpha_n-1}\tilde{D}_k^{L_n}(t)\ ,$$

სადაც $A_n^{\alpha_n}$ განსაზღვრულია (1.5)-ით.

ინტეგრალში ცვლადის შეცვლით $u=t-x$ მივიღებთ

$$t_{n,\alpha_n}^{L_n}(f;x)=-\frac{1}{L_n}\int_{-L_n-x}^{L_n-x}f(x+u)\tau_{n,\alpha_n}^{L_n}(u)du\ ,$$

მეორე მხრივ, თუ ცვლადს შევცვლით $-u=t-x$ და გავითვალისწინებთ, რომ $\tilde{D}_k^{L}(t)$ კენტი ფუნქციაა t-ს მიმართ, მივიღებთ

$$t_{n,\alpha_n}^{L_n}(f;x)=\frac{1}{L_n}\int_{-L_n+x}^{L_n+x}f(x-u)\tau_{n,\alpha_n}^{L_n}(u)du\ .$$

საბოლოოდ ინტეგრალის ადიციურობის ძალით გვექნება

$$t_{n,\alpha_n}^{L_n}(f;x)=-\frac{1}{2L_n}\int_{-L_n-x}^{L_n-x}f(x+u)\tau_{n,\alpha_n}^{L_n}(u)du+$$

$$+\frac{1}{2L_n}\int_{-L_n+x}^{L_n+x}f(x-u)\tau_{n,\alpha_n}^{L_n}(u)du=$$

$$=-\frac{1}{2L_n}\int_{-L_n+x}^{L_n-x}(f(x+u)-f(x-u))\tau_{n,\alpha_n}^{L_n}(u)du-$$

$$-\frac{1}{2L_n}\int_{-L_n-x}^{-L_n+x}f(x+u)\tau_{n,\alpha_n}^{L_n}(u)du+$$

(1.59) $$+\frac{1}{2L_n}\int_{L_n-x}^{L_n+x}f(x-u)\tau_{n,\alpha_n}^{L_n}(u)du=A_1+A_2+A_3\ .$$

განვიხილოთ A_1. ვინაიდან $f(x+u)-f(x-u)$ და $\tilde{D}_n^{L_n}(u)$ u-ს მიმართ კენტი ფუნქციებია, ამიტომ გვექნება

$$A_1=-\frac{1}{2L_n}\int_{-L_n+x}^{L_n-x}(f(x+u)-f(x-u))\tau_{n,\alpha_n}^{L_n}(u)du=$$

$$=-\frac{1}{L_n}\int_{0}^{L_n-x}(f(x+u)-f(x-u))\tau_{n,\alpha_n}^{L_n}(u)du=$$

$$=-\frac{1}{L_n}\int_{0}^{L_n}(f(x+u)-f(x-u))\tau_{n,\alpha_n}^{L_n}(u)du+$$

(1.60) $$+\frac{1}{L_n}\int_{L_n-x}^{L_n}(f(x+u)-f(x-u))\tau_{n,\alpha_n}^{L_n}(u)du=B_1+B_2\,.$$

განვიხილოთ $\tau_{n,\alpha_n}^{L_n}(u)$. $\tilde{D}_n(u)$-ში (იხ. [21], თავი II, (5.6)) ცვლადის შეცვლით და $\tau_{n,\alpha_n}^{L_n}(u)$-ის წარმოდგენის (იხ. თეორემა 1.2.2) გამოყენებით მივიღებთ შეფასებას $\tau_{n,\alpha_n}^{L_n}(u)$-თვის:

$$|\,\tau_{n,\alpha_n}^{L_n}(u)|\le\frac{1}{\sin(\pi u/2L_n)}\,.$$

განვიხილოთ B_2. მაშინ ბოლოს მიღებული შეფასებიდან ადვილი დასანხია, რომ (1.8), (1.58)-ის და ინტეგრალში ცვლადის შეცვლით დავადგენთ, რომ

$$B_2\le\frac{1}{L_n}\int_{L_n-x}^{L_n}|\,f(x+u)-f(x-u)|\cdot|\,\tau_{n,\alpha_n}^{L_n}(u)|\,du\le$$

$$\le\frac{1}{L_n}\int_{L_n-x}^{L_n}|\,f(x+u)-f(x-u)|\cdot\frac{1}{A_n^{\alpha_n}}\sum_{k=0}^{n}A_{n-k}^{\alpha_n-1}\,|\,\tilde{D}_k^{L_n}(t)|\,du\le$$

$$\le\frac{1}{L_n\sin[\pi(L_n-x)/2L_n]}\int_{L_n-x}^{L_n}|\,f(x+u)-f(x-u)|\,\frac{1}{A_n^{\alpha_n}}\sum_{k=0}^{n}A_{n-k}^{\alpha_n-1}du\le$$

$$\le\frac{1}{L_n\sin[\pi(L_n-x)/2L_n]}\int_{L_n-x}^{L_n}|\,f(x+u)-f(x-u)|\,du\le$$

$$\le\frac{1}{L_n\sin[\pi(L_n-x)/2L_n]}\int_{L_n-x}^{L_n}\left(|\,f(x+u)|+|\,f(x-u)|\right)du=$$

(1.61) $$=\frac{1}{L_n\sin[\pi(L_n-x)/2L_n]}\left(\int_{L_n}^{L_n+x}|\,f(t)|\,dt+\int_{-L_n+2x}^{-L_n+x}|\,f(t)|\,dt\right)=O(1)\,.$$

განვიხილოთ A_2 და A_3. B_2-ის მსგავსად ადვილი დასანხია, რომ (1.8), (1.58)-ის და ინტეგრალში ცვლადის შეცვლით მივიღებთ შეფასებებს:

$$|\,A_2\,|\le\frac{1}{2L_n\sin[\pi(L_n-x)/2L_n]}\int_{-L_n-x}^{-L_n+x}|\,f(x+u)|\,du=$$

(1.62) $$=\frac{1}{2L_n\sin[\pi(L_n-x)/2L_n]}\int_{-L_n}^{-L_n+2x}|\,f(t)|\,dt=O(1)\,,$$

და

$$|\,A_3\,|\le\frac{1}{2L_n\sin[\pi(L_n-x)/2L_n]}\int_{L_n-x}^{L_n+x}|\,f(x-u)|\,du=$$

(1.63) $$=\frac{1}{2L_n\sin[\pi(L_n-x)/2L_n]}\int_{-L_n+2x}^{-L_n}|\,f(t)|\,dt=O(1)\,.$$

განვიხილოთ B_1,

$$B_1=-\frac{1}{L_n}\int_{0}^{L_n}(\,f(x+u)-f(x-u)-d_x(f))\tau_{n,\alpha_n}^{L_n}(u)du-$$

$$-\frac{d_x(f)}{L_n}\int_{0}^{L_n}\tau_{n,\alpha_n}^{L_n}(u)du=C_1+C_2\,.$$

შევაფასოთ C_1. (1.6)-ის ძალით ნებისმიერი დადებითი $\varepsilon > 0$ რიცხვისთვის, მოიძებნება დადებითი რიცხვი $\delta = \delta(\varepsilon)$ (საზოგადოდ დამოკიდებული ε-ზე) ისეთი, რომ ადგილი ექნება (1.33).

ავიღოთ n იმდენად დიდი, რომ $1/n < \delta$, მაშინ მივიღებთ

$$C_1 = -\frac{1}{L_n}\int_0^{1/n} \varphi(x,u)\tau_{n,\alpha_n}^{L_n}(u)u - \frac{1}{L_n}\int_{1/n}^{\delta} \varphi(x,u)\tau_{n,\alpha_n}^{L_n}(u)du -$$

$$-\frac{1}{L_n}\int_{\delta}^{L_n} \varphi(x,u)\tau_{n,\alpha_n}^{L_n}(u)du = -D_1 - D_2 - D_3. \tag{1.64}$$

(1.10), (1.35) და (1.58)-ის ძალით ყოველი u-თვის ადვილად დავასკვნით, რომ

$$|\tau_{n,\alpha_n}^{L_n}(u)| \le \frac{1}{A_n^{\alpha_n}}\sum_{k=0}^{n} A_{n-k}^{\alpha_n-1}|\tilde{D}_k^{L_n}(t)| \le$$

$$\le \frac{1}{A_n^{\alpha_n}}\sum_{k=0}^{n} A_{n-k}^{\alpha_n-1}k < \frac{n}{A_n^{\alpha_n}}\sum_{k=0}^{n} A_{n-k}^{\alpha_n-1} = n. \tag{1.65}$$

ამიტომ (1.33) და (1.65)-ის საფუძველზე დავასკვნით

$$|D_1| \le \frac{n}{L_n}\int_0^{1/n} |\varphi(x,u)|du < \frac{\varepsilon}{L_n}. \tag{1.66}$$

(1.37) და (1.58)-ის გათვალისწინებით მივიღებთ

$$|\tau_{n,\alpha_n}^{L_n}(u)| \le \frac{1}{A_n^{\alpha_n}}\sum_{k=0}^{n} A_{n-k}^{\alpha_n-1}|\tilde{D}_k^{L_n}(t)| \le$$

$$\le \frac{2L_n}{\pi u}\frac{1}{A_n^{\alpha_n}}\sum_{k=0}^{n} A_{n-k}^{\alpha_n-1} = \frac{2L_n}{\pi u}, \quad 0 < u \le L_n. \tag{1.67}$$

მაშინ (1.67) შეფასებიდან გამომდინარე ნაწილობითი ინტეგრებით დავადგენთ შემდეგი შეფასების სამართლიანობას

$$|D_2| \le \frac{1}{L_n}\int_{1/n}^{\delta} |\varphi(x,u)|\frac{2L_n}{\pi u}du = \frac{2}{\pi}\int_{1/n}^{\delta}\frac{|\varphi(x,u)|}{u}du =$$

$$= \frac{2}{\pi}\int_{1/n}^{\delta}\frac{1}{u}d\int_0^u |\varphi(x,t)|dt = \frac{2}{\pi}\frac{1}{u}\int_0^u |\varphi(x,t)|dt\Bigg|_{1/n}^{\delta} +$$

$$+\frac{2}{\pi}\int_{1/n}^{\delta}\frac{1}{u^2}\int_0^u |\varphi(x,t)|dtdu = \frac{2}{\pi}\frac{1}{\delta}\int_0^{\delta}|\varphi(x,t)|dt -$$

$$-\frac{2n}{\pi}\int_0^{1/n}|\varphi(x,t)|dt + \frac{2}{\pi}\int_{1/n}^{\delta}\frac{1}{u^2}\int_0^u|\varphi(x,t)|dtdu \le$$

$$\le \frac{2\varepsilon}{\pi}\left(2 + \int_{1/n}^{\delta}\frac{du}{u}\right) = \frac{2\varepsilon}{\pi}(2 + \ln\delta - \ln 1 + \ln n)) = o(\ln n). \tag{1.68}$$

ამასთან (1.11) და (1.67)-ის ძალით გვექნება

$$|D_3| \le \frac{1}{L_n}\int_{\delta}^{L_n}|\varphi(x,u)|\frac{2L_n}{\pi u}du = \frac{2}{\pi}\int_{\delta}^{L_n}\frac{|\varphi(x,u)|}{u}du =$$

$$= \frac{2}{\pi}\int_{\delta}^{1}\frac{|\varphi(x,u)|}{u}du + \frac{2}{\pi}\int_{1}^{L_n}\frac{|\varphi(x,u)|}{u}du \le \frac{2}{\pi\delta}\int_{\delta}^{1}|\varphi(x,u)|du +$$

$$(1.69)\qquad +\frac{2}{\pi}\int_1^{L_n}\frac{|\varphi(x,u)|}{u}du=O(1)+o(\ln n).$$

(1.59)-(1.69)-დან გამომდინარეობს შემდეგი შეფასება

$$(1.70)\qquad \lim_{n\to+\infty}\frac{C_1}{\ln n}=0.$$

განვიხილოთ C_2.

$$C_2=-\frac{d_x(f)}{L_n}\int_0^{L_n}\tau_{n,\alpha_n}^{L_n}(u)du=-\frac{d_x(f)}{L_n}\int_0^{L_n}\frac{1}{A_n^{\alpha_n}}\sum_{k=0}^{n}A_{n-k}^{\alpha_n-1}\tilde{D}_k^{L_n}(t)du=$$

$$=-\frac{d_x(f)}{L_n}\frac{1}{A_n^{\alpha_n}}\sum_{k=0}^{n}A_{n-k}^{\alpha_n-1}\int_0^{L_n}\tilde{D}_k^{L_n}(t)du=-\frac{d_x(f)}{L_n}\frac{1}{A_n^{\alpha_n}}\sum_{k=0}^{n}A_{n-k}^{\alpha_n-1}U_k^{L_n}.$$

შევაფასოთ

$$\frac{\pi}{L_nA_n^{\alpha_n}\ln n}\sum_{k=0}^{n}A_{n-k}^{\alpha_n-1}U_k^{L_n}.$$

(1.41)-ის ძალით ყოველი $\varepsilon>0$, არსებობს ისეთი $N=N(\varepsilon)$, რომ ყოველი $k\ge N$, გვაქვს

$$(1.71)\qquad 1-\varepsilon<\frac{\pi\cdot U_k^{L_n}}{L_n\cdot\ln k}<1+\varepsilon.$$

α_n მიმდევრობა დავყოთ ორ ქვემიმდევრობად შემდეგნაირად $\alpha_{m_i}\in[0;1)$ და $\alpha_{k_i}\in[1;b]$, $\forall i\in\mathbb{N}$. $\{m_1,m_2,...\}\cup\{k_1,k_2,...\}=\mathbb{N}$, $\{m_1,m_2,...\}\cap\{k_1,k_2,...\}=\varnothing$.

ჯერ განვიხილოთ α_{m_i} ქვემიმდევრობა:

$$\frac{\pi}{L_iA_i^{\alpha_{m_i}}\ln i}\sum_{k=0}^{i}A_{i-k}^{\alpha_{m_i}-1}U_k^{L_i}=\frac{\pi}{L_iA_i^{\alpha_{m_i}}\ln i}\sum_{k=0}^{[i/M]}A_{i-k}^{\alpha_{m_i}-1}U_k^{L_i}+$$

$$+\frac{\pi}{L_iA_i^{\alpha_{m_i}}\ln i}\sum_{k=[i/M]+1}^{i}A_{i-k}^{\alpha_{m_i}-1}U_k^{L_i}=E_1+E_2.$$

E_2 გამოსახულება შევაფასოთ ქვემოდან. (1.71)-ის ძალით გვაქვს

$$E_2=\frac{\pi}{L_iA_i^{\alpha_{m_i}}\ln i}\sum_{k=[i/M]+1}^{i}A_{i-k}^{\alpha_{m_i}-1}U_k^{L_i}>$$

$$>\frac{1}{\ln i}\frac{1}{A_i^{\alpha_{m_i}}}\sum_{k=[i/M]+1}^{i}A_{i-k}^{\alpha_{m_i}-1}(1-\varepsilon)\ln k>$$

$$>\frac{(1-\varepsilon)(\ln i-\ln M)}{\ln i\cdot A_i^{\alpha_{m_i}}}\sum_{k=[i/M]+1}^{i}A_{i-k}^{\alpha_{m_i}-1}=$$

$$=\frac{(1-\varepsilon)(\ln i-\ln M)}{\ln i\cdot A_i^{\alpha_{m_i}}}\left(\sum_{k=0}^{i}A_{i-k}^{\alpha_{m_i}-1}-\sum_{k=0}^{[i/M]}A_{i-k}^{\alpha_{m_i}-1}\right)=$$

$$=(1-\varepsilon)\left(1-\frac{\ln M}{\ln i}\right)-(1-\varepsilon)\left(1-\frac{\ln M}{\ln i}\right)\frac{1}{A_i^{\alpha_{m_i}}}\sum_{k=0}^{[i/M]}A_{i-k}^{\alpha_{m_i}-1}=$$

$$=F_1-F_2.$$

თუ $0<\alpha_{m_i}<1$, მაშინ $-1<\alpha_{m_i}-1<0$. აქედან გამომდინარეობს $A_{i-k}^{\alpha_{m_i}-1}$-ის კლებადობა. ამგვარად, გვექნება

$$F_2=(1-\varepsilon)\left(1-\frac{\ln M}{\ln i}\right)\frac{1}{A_i^{\alpha_{m_i}}}\sum_{k=0}^{[i/M]}A_{i-k}^{\alpha_{m_i}-1}\le$$

$$\le(1-\varepsilon)\left(1-\frac{\ln M}{\ln i}\right)\frac{1}{A_i^{\alpha_{m_i}}}\sum_{k=0}^{[i/M]}A_{i-[i/M]}^{\alpha_{m_i}-1}.$$

თუ $M=M(\varepsilon)$-ს იმდენად დიდს ავიღებთ, რომ $1/M<\varepsilon$ და $A_i^{\alpha_{m_i}}$ რიცხვების შეფასებებს გავითვალისწინებთ (იხ. [9] ლემა 2) მივიღებთ

$$(1-\varepsilon)\left(1-\frac{\ln M}{\ln i}\right)\frac{1}{A_i^{\alpha_{m_i}}}\sum_{k=0}^{[i/M]}A_{i-[i/M]}^{\alpha_{m_i}-1}=$$

$$=O\left(\frac{i^{-\alpha_{m_i}}\cdot\alpha_{m_i}}{\left(i-i/M\right)^{1-\alpha_{m_i}}}\cdot\frac{i}{M}\right)=O\left(\frac{i^{-\alpha_{m_i}}\cdot\alpha_{m_i}}{i^{1-\alpha_{m_i}}}\cdot\frac{i}{M}\right)=o(1).$$

ამგვარად,

$$F_1=(1-\varepsilon)\left(1-\frac{\ln M}{\ln i}\right),$$

მაშასადამე,

$$F_2=o(1).$$

ამის გარდა, (1.71) ძალით და $A_i^{\alpha_{m_i}}$ მიმდევრობის კლებადობის გამო i-ს მიმართ სამართლიანია შემდეგი შეფასება:

$$E_1=\frac{\pi}{L_iA_i^{\alpha_{m_i}}\ln i}\sum_{k=0}^{N}A_{i-k}^{\alpha_{m_i}-1}U_k^{L_i}+\frac{\pi}{L_iA_i^{\alpha_{m_i}}\ln i}\sum_{k=N+1}^{[i/M]}A_{i-k}^{\alpha_{m_i}-1}U_k^{L_i}\ge$$

$$\ge\frac{\pi C_1(N)}{L_iA_i^{\alpha_{m_i}}\ln i}\sum_{k=0}^{N}A_{i-k}^{\alpha_{m_i}-1}+\frac{1}{\ln i\cdot A_i^{\alpha_{m_i}}}\sum_{k=N+1}^{[i/M]}A_{i-k}^{\alpha_{m_i}-1}(1-\varepsilon)\ln k\ge$$

$$\ge\frac{\pi C_1(N)}{L_iA_i^{\alpha_{m_i}}\ln i}\sum_{k=0}^{N}A_{i-k}^{\alpha_{m_i}-1}+\frac{(1-\varepsilon)\ln N}{\ln i\cdot A_i^{\alpha_{m_i}}}\sum_{k=N+1}^{[i/M]}A_{i-k}^{\alpha_{m_i}-1}\ge$$

$$\ge\frac{\pi C_1(N)}{L_iA_i^{\alpha_{m_i}}\ln i}\sum_{k=0}^{N}A_i^{\alpha_{m_i}-1}+\frac{(1-\varepsilon)\ln N}{\ln i\cdot A_i^{\alpha_{m_i}}}\sum_{k=N+1}^{[i/M]}A_i^{\alpha_{m_i}-1}=$$

$$=O\left(\frac{i^{-\alpha_{m_i}}\cdot\alpha_{m_i}}{i^{1-\alpha_{m_i}}\cdot L_i\cdot\ln i}\right)+O\left(\frac{i^{-\alpha_{m_i}}\cdot\alpha_{m_i}}{i^{1-\alpha_{m_i}}\ln i}\cdot\left(\frac{i}{M}-N\right)\right)=$$

$$=O\left(\frac{1}{i\cdot L_i\cdot\ln i}\right)+O\left(\frac{(i-MN)\cdot i^{-\alpha_{m_i}}\cdot\alpha_{m_i}}{i^{1-\alpha_{m_i}}\cdot M\cdot\ln i}\right)=$$

$$=O\left(\frac{1}{i\cdot L_i\cdot\ln i}\right)+O\left(\frac{1}{\ln i}\right),$$

სადაც

$$C_1(N)=\min_{0\le k\le N}\left|U_k^{L_i}\right|.$$

მაშასადამე,

$$\varliminf_{i\to+\infty}\frac{\pi}{L_i\ln i}\int_0^{L_i}\tau_{i,\alpha_{m_i}}^{L_i}(t)dt=\varliminf_{i\to+\infty}(E_1+E_2)\ge$$

$$\ge\varliminf_{i\to+\infty}(E_1+F_1-F_2)=\varliminf_{i\to+\infty}F_1=1.$$

C_2 წევრში მოცემული ინტეგრალი α_{m_i} მიმდევრობისთვის შევაფასოთ ზემოდან. (1.71)-ის ძალით გვაქვს

$$\frac{\pi}{L_i\cdot\ln i}\int_0^{L_i}\tau_{i,\alpha_{m_i}}^{L_i}(u)dt=\frac{\pi}{L_i\cdot\ln i}\int_0^{L_i}\frac{1}{A_i^{\alpha_{m_i}}}\sum_{k=0}^{i}A_{i-k}^{\alpha_{m_i}-1}\tilde{D}_k^{L_i}(t)dt=$$

$$=\frac{\pi}{L_i\cdot\ln i\cdot A_i^{\alpha_{m_i}}}\sum_{k=0}^{i}A_{i-k}^{\alpha_{m_i}-1}\int_0^{L_i}\tilde{D}_k^{L_i}(t)dt=\frac{\pi}{L_i\cdot\ln i\cdot A_i^{\alpha_{m_i}}}\sum_{k=0}^{i}A_{i-k}^{\alpha_{m_i}-1}U_k^{L_i}=$$

$$=\frac{\pi}{L_i\cdot\ln i\cdot A_i^{\alpha_{m_i}}}\sum_{k=0}^{N}A_{i-k}^{\alpha_{m_i}-1}U_k^{L_i}+\frac{\pi}{L_i\cdot\ln i\cdot A_i^{\alpha_{m_i}}}\sum_{k=N+1}^{i}A_{i-k}^{\alpha_{m_i}-1}U_k^{L_i}\le$$

$$=\frac{\pi}{L_i\cdot\ln i\cdot A_i^{\alpha_{m_i}}}\sum_{k=0}^{N}A_{i-k}^{\alpha_{m_i}-1}U_k^{L_i}+\frac{1}{\ln i\cdot A_i^{\alpha_{m_i}}}\sum_{k=N+1}^{i}A_{i-k}^{\alpha_{m_i}-1}(1+\varepsilon)\ln k\le$$

$$\le\frac{\pi C_2(N)}{L_i\cdot\ln i\cdot A_i^{\alpha_{m_i}}}\sum_{k=0}^{N}A_{i-k}^{\alpha_{m_i}-1}+\frac{(1+\varepsilon)\ln i}{\ln i\cdot A_i^{\alpha_{m_i}}}\sum_{k=N+1}^{i}A_{i-k}^{\alpha_{m_i}-1}.$$

$A_i^{\alpha_{m_i}}$ მიმდევრობის i-ს მიმართ კლებადობის გამო და $A_i^{\alpha_{m_i}}$ რიცხვების შეფასებებიდან (იხ. [9] ლემა 2) მივიღებთ:

$$\frac{\pi C_2(N)}{L_i\cdot\ln i\cdot A_i^{\alpha_{m_i}}}\sum_{k=0}^{N}A_{i-k}^{\alpha_{m_i}-1}+\frac{(1+\varepsilon)\ln i}{\ln i\cdot A_i^{\alpha_{m_i}}}\sum_{k=N+1}^{i}A_{i-k}^{\alpha_{m_i}-1}\le$$

$$\le\frac{\pi C_2(N)}{L_i\cdot\ln i\cdot A_i^{\alpha_{m_i}}}\sum_{k=0}^{N}A_{i-N}^{\alpha_{m_i}-1}+\frac{(1+\varepsilon)}{A_i^{\alpha_{m_i}}}\left(\sum_{k=0}^{i}A_{i-k}^{\alpha_{m_i}-1}-\sum_{k=0}^{N}A_{i-k}^{\alpha_{m_i}-1}\right)\le$$

$$\le\frac{\pi C_2(N)}{L_i\cdot\ln i\cdot A_i^{\alpha_{m_i}}}\sum_{k=0}^{N}A_{i-N}^{\alpha_{m_i}-1}+(1+\varepsilon)-\frac{(1+\varepsilon)}{A_i^{\alpha_{m_i}}}\sum_{k=0}^{N}A_i^{\alpha_{m_i}-1}=$$

$$=1+\varepsilon+O\left(\left(1-\frac{N}{i}\right)^{\alpha_{m_i}}\frac{1}{(i-N)\cdot L_i\cdot\ln i}\right)+O\left(\frac{1}{i\ln i}\right)$$

$$=1+\varepsilon+O\left(\frac{1}{i\ln i}\right),$$

სადაც

$$C_2(N)=\max_{0\le k\le N}\left|U_k^{L_i}\right|,$$

ე. ი.

$$\overline{\lim_{i\to+\infty}}\frac{\pi}{L_i\ln i}\int_0^{L_i}\tau_{i,\alpha_{m_i}}^{L_i}(t)dt\le 1.$$

საბოლოოდ მივიღებთ:

$$\lim_{i\to+\infty}\frac{\pi}{L_i\ln i}\int_0^{L_i}\tau_{i,\alpha_{m_i}}^{L_i}(t)dt=1.$$

C_2-ში მოცემული ინტეგრალი α_{k_i} მიმდევრობისთვის შევაფასოთ ქვემოდან. (1.71)-ის ძალით გვაქვს

$$\frac{\pi}{L_i\cdot\ln i}\int_0^{L_i}\tau_{i,\alpha_{k_i}}^{L_i}(u)dt=\frac{\pi}{L_i\cdot\ln i}\int_0^{L_i}\frac{1}{A_i^{\alpha_{k_i}}}\sum_{j=0}^{i}A_{i-j}^{\alpha_{k_i}-1}\tilde{D}_j^{L_i}(t)dt=$$

$$=\frac{\pi}{L_i\cdot A_i^{\alpha_{k_i}}\cdot\ln i}\sum_{j=0}^{i}A_{i-j}^{\alpha_{k_i}-1}\int_0^{L_i}\tilde{D}_j^{L_i}(t)=\frac{\pi}{L_i\cdot A_i^{\alpha_{k_i}}\cdot\ln i}\sum_{j=0}^{[i/M]}A_{i-j}^{\alpha_{k_i}-1}U_j^{L_i}+$$

$$+\frac{\pi}{L_i\cdot A_i^{\alpha_{k_i}}\cdot\ln i}\sum_{j=[i/M]+1}^{i}A_{i-j}^{\alpha_{k_i}-1}U_j^{L_i}=G_1+G_2\,.$$

განვიხილოთ G_2. ვინაიდან $1\le\alpha_{k_i}\le b$, მაშინ $A_{i-j}^{\alpha_{k_i}-1}$ კლებადია j-ს მიმართ, მაშინ (1.71) ძალით გვექნება:

$$G_2=\frac{\pi}{L_i\cdot A_i^{\alpha_{k_i}}\cdot\ln i}\sum_{j=[i/M]+1}^{i}A_{i-j}^{\alpha_{k_i}-1}U_j^{L_i}>$$

$$>\frac{1}{\ln i\cdot A_i^{\alpha_{k_i}}}\sum_{j=[i/M]+1}^{i}A_{i-j}^{\alpha_{k_i}-1}(1-\varepsilon)\ln j>$$

$$>\frac{(1-\varepsilon)(\ln i-\ln M)}{\ln i\cdot A_i^{\alpha_{k_i}}}\sum_{j=[i/M]+1}^{i}A_{i-j}^{\alpha_{k_i}-1}=$$

$$=\frac{(1-\varepsilon)(\ln i-\ln M)}{\ln i\cdot A_i^{\alpha_{k_i}}}\left(\sum_{j=0}^{i}A_{i-j}^{\alpha_{k_i}-1}-\sum_{j=0}^{[i/M]}A_{i-j}^{\alpha_{k_i}-1}\right)=$$

$$=(1-\varepsilon)\left(1-\frac{\ln M}{\ln i}\right)\left(1-\frac{1}{A_i^{\alpha_{k_i}}}\sum_{j=0}^{[i/M]}A_{i-j}^{\alpha_{k_i}-1}\right)=H_1-H_2\,.$$

რადგან $A_i^{\alpha_{k_i}-1}$ ზრდადია როგორც i-ს ფუნქცია, ამიტომ

$$H_1=(1-\varepsilon)\left(1-\frac{\ln M}{\ln i}\right),$$

ხოლო

$$H_2=(1-\varepsilon)\left(1-\frac{\ln M}{\ln i}\right)\frac{1}{A_i^{\alpha_{k_i}}}\sum_{k=0}^{[i/M]}A_{i-j}^{\alpha_{k_i}-1}\le$$

$$\le(1-\varepsilon)\left(1-\frac{\ln M}{\ln i}\right)\frac{1}{A_i^{\alpha_{k_i}}}\sum_{k=0}^{[i/M]}A_{i}^{\alpha_{k_i}-1}=$$

$$=O\left(\frac{i^{-\alpha_{k_i}}\cdot\alpha_{k_i}}{i^{1-\alpha_{k_i}}}\cdot\frac{i}{M}\right)=O\left(\frac{1}{M}\right).$$

$M=M(\varepsilon)$-ის ხარჯზე შეგვიძლია მივიღოთ შეფასება:

$$H_2=o(1)\,.$$

(1.71)-ძალით და $A_i^{\alpha_{k_i}-1}$ ზრდადობიდან გვაქვს:

$$G_1=\frac{\pi}{L_i\cdot A_i^{\alpha_{k_i}}\cdot\ln i}\sum_{j=0}^{N}A_{i-j}^{\alpha_{k_i}-1}U_j^{L_i}+\frac{\pi}{L_i\cdot A_i^{\alpha_{k_i}}\cdot\ln i}\sum_{j=N+1}^{[i/M]}A_{i-j}^{\alpha_{k_i}-1}U_j^{L_i}\ge$$

$$\ge\frac{C_1(N)}{L_i\cdot\ln i\cdot A_i^{\alpha_{k_i}}}\sum_{j=0}^{N}A_{i-j}^{\alpha_{k_i}-1}+\frac{1}{\ln i\cdot A_i^{\alpha_{k_i}}}\sum_{j=N+1}^{[i/M]}A_{i-j}^{\alpha_{k_i}-1}(1-\varepsilon)\ln j\ge$$

$$\ge\frac{C_1(N)}{L_i\cdot\ln i\cdot A_i^{\alpha_{k_i}}}\sum_{j=0}^{N}A_{i-j}^{\alpha_{k_i}-1}+\frac{(1-\varepsilon)\ln N}{\ln i\cdot A_i^{\alpha_{k_i}}}\sum_{j=N+1}^{[i/M]}A_{i-j}^{\alpha_{k_i}-1}\ge$$

$$\ge\frac{C_1(N)}{L_i\cdot\ln i\cdot A_i^{\alpha_{k_i}}}\sum_{k=0}^{N}A_{i-N}^{\alpha_{k_i}-1}+\frac{(1-\varepsilon)\ln N}{\ln i\cdot A_i^{\alpha_{k_i}}}\sum_{k=N+1}^{[i/M]}A_{i-[i/M]}^{\alpha_{k_i}-1}=$$

$$=O\left(\frac{i^{-\alpha_{k_i}}\cdot\alpha_{k_i}}{(i-N)^{1-\alpha_{k_i}}L_i\cdot\ln i}\right)+O\left(\frac{i^{-\alpha_{k_i}}\cdot\alpha_{k_i}}{\ln i\cdot(i-i/M)^{1-\alpha_{k_i}}}\cdot\left(\frac{i}{M}-N\right)\right)=$$

$$=O\left(\frac{1}{i\cdot L_i\cdot\ln i}\right)+O\left(\frac{(i-MN)\cdot\alpha_{k_i}}{i\cdot M^{\alpha_{k_i}}\cdot\ln i}\right)=$$

$$=O\left(\frac{1}{i\cdot L_i\cdot\ln i}\right)+O\left(\frac{1}{\ln i}\right).$$

აქედან დავასკვნით, რომ

$$\varliminf_{i\to+\infty}\frac{\pi}{L_i\ln i}\int_0^{L_i}\tau_{i,\alpha_{k_i}}^{L_i}(u)dt=\varliminf_{i\to+\infty}(G_1+G_2)\geq$$

$$\geq\lim_{i\to+\infty}(G_1+H_1-H_2)=\lim_{i\to+\infty}H_1=1.$$

ახლა შევაფასოთ იგივე გამოსახულება ზემოდან. (1.71)-ის ძალით გვაქვს:

$$\frac{\pi}{L_i\cdot\ln i}\int_0^{L_i}\tau_{i,\alpha_{k_i}}^{L_i}(u)dt=\frac{\pi}{L_i\cdot\ln i}\int_0^{L_i}\frac{1}{A_i^{\alpha_{k_i}}}\sum_{j=0}^{i}A_{i-j}^{\alpha_{k_i}-1}\tilde{D}_j^{L_i}(t)dt=$$

$$=\frac{\pi}{L_i\cdot A_i^{\alpha_{k_i}}\cdot\ln i}\sum_{j=0}^{i}A_{i-j}^{\alpha_{k_i}-1}\int_0^{L_i}\tilde{D}_j^{L_i}(t)=\frac{\pi}{L_i\cdot A_i^{\alpha_{k_i}}\cdot\ln i}\sum_{j=0}^{i}A_{i-j}^{\alpha_{k_i}-1}U_j^{L_i}=$$

$$=\frac{\pi}{L_i\cdot A_i^{\alpha_{k_i}}\cdot\ln i}\sum_{j=0}^{N}A_{i-j}^{\alpha_{k_i}-1}U_j^{L_i}+\frac{\pi}{L_i\cdot A_i^{\alpha_{k_i}}\cdot\ln i}\sum_{j=N+1}^{i}A_{i-j}^{\alpha_{k_i}-1}U_j^{L_i}\leq$$

$$\leq\frac{\pi C_2(N)}{L_i\cdot A_i^{\alpha_{k_i}}\cdot\ln i}\sum_{j=0}^{N}A_i^{\alpha_{k_i}-1}+\frac{1+\varepsilon}{\ln i\cdot A_i^{\alpha_{k_i}}}\sum_{j=N+1}^{i}A_{i-j}^{\alpha_{k_i}-1}\ln j\leq$$

$$\leq\frac{\pi C_2(N)}{L_i\cdot A_i^{\alpha_{k_i}}\cdot\ln i}\sum_{k=0}^{N}A_i^{\alpha_{k_i}-1}+\frac{(1+\varepsilon)\ln i}{\ln i\cdot A_i^{\alpha_{k_i}}}\left(\sum_{j=0}^{i}A_{i-j}^{\alpha_{k_i}-1}-\sum_{j=N+1}^{N}A_{i-j}^{\alpha_{k_i}-1}\right)=$$

$$=\frac{\pi C_2(N)}{L_i\cdot A_i^{\alpha_{k_i}}\cdot\ln i}\sum_{j=0}^{N}A_i^{\alpha_{k_i}-1}+1+\varepsilon-\frac{(1+\varepsilon)}{A_i^{\alpha_{k_i}}}\sum_{j=0}^{N}A_{i-N}^{\alpha_{k_i}-1}=$$

$$=1+\varepsilon+O\left(\frac{i^{-\alpha_{k_i}}}{i^{1-\alpha_{k_i}}\cdot L_i\cdot\ln i}\right)+O\left(\frac{i^{-\alpha_{k_i}}}{(i-N)^{1-\alpha_{k_i}}}\right)=$$

$$=1+\varepsilon+O\left(\frac{1}{i\cdot L_i\cdot\ln i}\right)+O\left(\frac{1}{\ln i}\right);$$

ე. ი.

$$\varlimsup_{i\to+\infty}\frac{\pi}{L_i\ln i}\int_0^{L_i}\tau_{i,\alpha_{k_i}}^{L_i}(u)dt\leq 1,$$

ანუ გვაქვს

$$\lim_{i\to+\infty}\frac{\pi}{L_i\ln i}\int_0^{L_i}\tau_{i,\alpha_{k_i}}^{L_i}(u)dt=1.$$

მაშასადამე,

$$\lim_{n\to+\infty}\frac{\pi}{L_n\ln n}\int_0^{L_n}\tau_{n,\alpha_n}^{L_n}(u)dt=1,$$

საიდანაც დავასკვნით, რომ

(1.72)
$$\lim_{n\to+\infty}\frac{C_2}{\ln n}=-\frac{d_x(f)}{\pi}.$$

ეს უკანასკნელი კი (1.70) ერთად ამტკიცებს (1.14). ამით თეორემა 1.2.2-ის (i) ნაწილი დამტკიცებულია.

დავამტკიცოთ (ii).

განვიხილოთ (1.43) ფორმულით განსაზღვრული ფუნქცია, ვთქვათ $L_n = \sqrt{n}$. ცხადია ამ ფუნქციისთვის და L_n მიმდევრობისთვის 0-წერტილში სრულდება (1.6) და (1.13), რასაც ამტკიცებს (1.44) და (1.45).

თეორემა 1.2.2-ის (i) ნაწილის მტკიცებიდან გამომდინარე ამ შემთხვევაშიც სამართლიანი იქნება (1.59)-(1.68) და (1.72) შეფასებების ანალოგები. გასახილველი გვრჩება D_3 (იხ. (1.64)). განვიხილოთ წარმოდგენა (იხ. [21], თავი. III, თეორემა (1.22)-ის დამტკიცება)

$$\frac{1}{A_n^{\alpha_n}}\sum_{k=1}^{n} A_{n-k}^{\alpha_n-1}\tilde{D}_k^{L_n}(t) = \frac{1}{A_n^{\alpha_n}}\sum_{k=1}^{n} A_{n-k}^{\alpha_n-2}A_k^1\tilde{K}_k^{L_n}(t),$$

სადაც $\tilde{K}_k^{L_n}(t)$ დირიხლეს შეუღლებული გულის ფეიერის საშუალოა, ანუ

$$\tilde{K}_k^{L_n}(t) = \frac{1}{k+1}\sum_{s=0}^{k}\tilde{D}_s^{L_n}(t).$$

განვიხილოთ D_3.

$$D_3 = \frac{1}{L_n}\int_{\delta}^{L_n}\varphi(0,u)\frac{1}{A_n^{\alpha_n}}\sum_{k=1}^{n} A_{n-k}^{\alpha_n-2}A_k^1\tilde{K}_k^{L_n}(t)du =$$

$$= \frac{1}{L_n}\int_{\delta}^{2}\varphi(0,u)\frac{1}{A_n^{\alpha_n}}\sum_{k=1}^{n} A_{n-k}^{\alpha_n-2}A_k^1\tilde{K}_k^{L_n}(t)du +$$

$$+\frac{1}{L_n}\int_{2}^{L_n}\varphi(0,u)\frac{1}{A_n^{\alpha_n}}\sum_{k=1}^{n} A_{n-k}^{\alpha_n-2}A_k^1\tilde{K}_k^{L_n}(t)du = I_1 + I_2.$$

შევაფასოთ ზემოდან I_1. (1.67)-ის ძალით გვაქვს

$$I_1 = \frac{1}{L_n}\int_{\delta}^{2}\varphi(0,u)\frac{1}{A_n^{\alpha_n}}\sum_{k=1}^{n} A_{n-k}^{\alpha_n-2}A_k^1\tilde{K}_k^{L_n}(u)du \le 2\int_{\delta}^{2}|\varphi(0,u)|\frac{du}{u} \le$$

$$\le \frac{2}{\delta}\int_{\delta}^{2}|\varphi(0,u)|\,du \le \frac{2}{\delta}\int_{0}^{2}|\varphi(0,u)|\,du = \frac{16}{\delta}.$$

დირიხლეს შეუღლებული გულის ფეიერის $\tilde{K}_n(t)$ საშუალოს ცნობილი წარმოდგენაში ცვლადის შეცვლის ძალით მივიღებთ $\tilde{K}_k^{L_n}(t)$-სთვის ანალოგიურ წარმოდგენას

$$\tilde{K}_k^{L_n}(t) = \frac{1}{2}\cot(\pi t/2L_n) - \frac{\sin((k+1)\pi t/L_n)}{(k+1)(2\sin(\pi t/2L_n))^2}.$$

ამგვარად, I_2 წევრისთვის გვაქვს

$$I_2 = \frac{1}{L_n}\int_{2}^{L_n}\varphi(0,t)\frac{1}{A_n^{\alpha_n}}\sum_{k=1}^{n} A_{n-k}^{\alpha_n-2}A_k^1\left(\frac{1}{2}\cot(\pi t/2L_n) - \right.$$

$$\left. - \frac{\sin((k+1)\pi t/L_n)}{(k+1)(2\sin(\pi t/2L_n))^2}\right)dt = J_1 - J_2.$$

განვიხილოთ $-J_1$, ვინაიდან $\varphi(0,t) \le 0$ ყველა t-სთვის, მაშინ ნაწილობითი ინტეგრებით მივიღებთ შემდეგ შეფასებას:

$$-J_1 = \frac{-1}{2L_n}\int_{2}^{L_n}\varphi(0,t)\frac{1}{A_n^{\alpha_n}}\sum_{k=1}^{n} A_{n-k}^{\alpha_n-2}A_k^1\cot(\pi t/2L_n)dt =$$

$$= \frac{-1}{2L_n}\int_2^{L_n}\varphi(0,t)\cot(\pi t/2L_n)dt \ge \frac{-1}{2L_n}\int_2^{L_n/2}\varphi(0,t)\cot(\pi t/2L_n)dt \ge$$

$$\ge -\frac{\sqrt{2}}{4L_n}\int_2^{L_n/2}\frac{\varphi(0,t)}{\sin(\pi t/2L_n)}dt \ge -\frac{\sqrt{2}}{2\pi}\int_2^{L_n/2}\frac{\varphi(0,t)}{t}dt =$$

$$= -\frac{\sqrt{2}}{2\pi}\int_2^{L_n/2}\frac{1}{t}d\int_0^t\varphi(0,s)ds = -\frac{\sqrt{2}}{2\pi}\frac{1}{t}\int_0^t\varphi(0,s)ds\Big|_2^{L_n/2} -$$

$$-\frac{\sqrt{2}}{2\pi}\int_2^{L_n/2}\frac{1}{t^2}\int_0^t\varphi(0,s)dsdt = -\frac{\sqrt{2}}{\pi L_n}\int_0^{L_n/2}\varphi(0,s)ds +$$

$$+\frac{\sqrt{2}}{4\pi}\int_0^2\varphi(0,s)ds - \frac{\sqrt{2}}{2\pi}\int_2^{L_n/2}\frac{1}{t^2}\int_0^t\varphi(0,s)dsdt = -K_1 + K_2 - K_3 .$$

შევაფასოთ K_2,

$$K_2 = \frac{\sqrt{2}}{4\pi}\int_0^2\varphi(0,s)ds = -\frac{2\sqrt{2}}{\pi} .$$

K_1 წევრის შესაფასებლად საკმარისია გავითვალისწინოთ შეფასება $|\varphi(0,t)| \le 8$. ამიტომ მარტივად დავასკვნით, რომ

$$|K_1| \le \frac{\sqrt{2}}{\pi L_n}\int_0^{L_n/2}8ds = O(1) .$$

განვიხილოთ $-K_3$:

$$-K_3 = -\frac{\sqrt{2}}{2\pi}\int_2^{L_n/2}\frac{1}{t^2}\left(\sum_{k=1}^{[t/2]}\int_{2k-2}^{2k}\varphi(0,s)ds + \int_{2[t/2]}^{t}\varphi(0,s)ds\right)dt = M_1 + M_2 .$$

შევაფასოთ M_2 ზემოდან, გვაქვს

$$|M_2| \le \frac{\sqrt{2}}{2\pi}\int_2^{L_n/2}\frac{1}{t^2}\int_{2[t/2]}^{t}|\varphi(0,s)|dsdt \le$$

$$\le \frac{\sqrt{2}}{2\pi}\int_2^{L_n/2}\frac{1}{t^2}\int_0^2|\varphi(0,s)|dsdt = \frac{4\sqrt{2}}{\pi}\int_2^{L_n/2}\frac{dt}{t^2} \le \frac{4\sqrt{2}}{\pi}\int_2^{+\infty}\frac{dt}{t^2} = O(1) .$$

M_1-თვის მივიღებთ:

$$M_1 = -\frac{\sqrt{2}}{2\pi}\int_2^{L_n/2}\frac{1}{t^2}\sum_{k=1}^{[t/2]}\int_{2k-2}^{2k}\varphi(0,s)dsdt =$$

$$= -\frac{\sqrt{2}}{2\pi}\int_2^{L_n/2}\frac{1}{t^2}\sum_{k=1}^{[t/2]}\int_0^2\varphi(0,s)dsdt =$$

$$= \frac{4\sqrt{2}}{\pi}\int_2^{L_n/2}\frac{1}{t^2}\left[\frac{t}{2}\right]dt = \frac{2\sqrt{2}}{\pi}\int_2^{L_n/2}\frac{1}{t^2}2\left[\frac{t}{2}\right]dt =$$

$$= \frac{2\sqrt{2}}{\pi}\int_2^{L_n/2}\frac{1}{t^2}\left(t - \left(t - 2\left[\frac{t}{2}\right]\right)\right)dt = \frac{2\sqrt{2}}{\pi}\int_2^{L_n/2}\frac{1}{t^2}\big(t - O(1)\big)dt =$$

$$= \frac{2\sqrt{2}}{\pi}\int_2^{L_n/2}\frac{1}{t}dt + O(1) = \frac{2\sqrt{2}}{\pi}\ln t\Big|_2^{L_n/2} =$$

$$= \frac{2\sqrt{2}}{\pi}\ln(L_n/2)+O(1)=\frac{2\sqrt{2}}{\pi}\ln L_n+O(1)=\frac{2\sqrt{2}}{\pi}\ln L_n+O(1).$$

ამიტომ L_n მიმდევრობის განსაზღვრის ძალით გვაქვს

$$M_1 \simeq \frac{\sqrt{2}}{2\pi}\ln n.$$

განვიხილოთ J_2, ვინაიდან $A_k^1 = k+1$ გვექნება

$$|J_2| = \left|\frac{1}{L_n}\int_\delta^{L_n}\varphi(0,t)\frac{1}{A_n^{\alpha_n}}\sum_{k=1}^{n}A_{n-k}^{\alpha_n-2}A_k^1\frac{\sin((k+1)\pi t/L_n)}{(k+1)(2\sin(\pi t/2L_n))^2}dt\right| =$$

$$= \left|\frac{1}{L_n}\int_\delta^{L_n}\varphi(0,t)\frac{1}{A_n^{\alpha_n}}\sum_{k=1}^{n}A_{n-k}^{\alpha_n-2}\frac{\sin((k+1)\pi t/L_n)}{(2\sin(\pi t/2L_n))^2}dt\right| \le$$

$$\le \frac{1}{A_n^{\alpha_n}}\sum_{k=1}^{n}A_{n-k}^{\alpha_n-2}\frac{1}{L_n}\int_\delta^{L_n}|\varphi(0,t)|\frac{1}{(2\sin(\pi t/2L_n))^2}dt \le$$

$$\le \frac{A_n^{\alpha_n-1}}{A_n^{\alpha_n}}\cdot\frac{2}{L_n}\int_\delta^{L_n}\frac{dt}{\sin^2(\pi t/2L_n)} \le \frac{8L_nA_n^{\alpha_n-1}}{A_n^{\alpha_n}}\int_\delta^{L_n}\frac{dt}{t^2} \le$$

$$\le \frac{A_n^{\alpha_n-1}}{A_n^{\alpha_n}}\cdot\frac{8L_n}{\pi^2}\int_\delta^{+\infty}\frac{dt}{t^2} = O\left(\frac{n^{\alpha_n-1}\sqrt[4]{n}}{n^{\alpha_n}}\right) = O\left(\frac{1}{n^{3/4}}\right) \to 0,$$

$n\to+\infty$. მაშასადამე, გვექნება

$$\underline{\lim}_{n\to+\infty}\frac{|D_3|}{\ln n} \ge \frac{\sqrt{2}}{2\pi}.$$

მეორე მხრივ D_3-ის წარმოდგენიდან განვიხილოთ I_2 წევრის შეფასება. (1.67)-ის ძალით გვაქვს:

$$|I_2| \le \frac{1}{L_n}\int_2^{L_n}|\varphi(0,u)||\tau_{n,\alpha_n}^{L_n}(u)|du \le \frac{1}{L_n}\int_2^{L_n}|\varphi(0,u)|\frac{2L_n}{\pi u}du = \frac{2}{\pi}\int_2^{L_n}\frac{|\varphi(0,u)|}{u}du.$$

(1.45)-შეფასებების გათვალისწინებით იოლი საჩვენებელია, რომ

$$\frac{2}{\pi}\int_2^{L_n}\frac{|\varphi(0,u)|}{u}du \simeq \frac{2}{\pi}\ln n,$$

ანუ

$$\overline{\lim}_{n\to+\infty}\frac{|D_3|}{\ln n} \le \frac{2}{\pi}.$$

ამ უკანასკნელ შეფასებებზე დაყრდნობით გვაქვს:

$$\lim_{n\to+\infty}\frac{-\pi}{d_0(f)}\frac{C_1}{\ln n} = \lim_{n\to+\infty}\frac{-\pi}{4}\frac{-D_1-D_2-D_3}{\ln n} =$$

$$= \lim_{n\to+\infty}\frac{\pi}{4}\frac{I_1+I_2}{\ln n} = \lim_{n\to+\infty}\frac{\pi}{4}\frac{J_1-J_2}{\ln n} =$$

$$= \lim_{n\to+\infty}\frac{\pi}{4}\frac{K_1-K_2+K_3}{\ln n} = \lim_{n\to+\infty}\frac{\pi}{4}\frac{-M_1-M_2}{\ln n} = P.$$

$|D_3|$-ის მიღებული შეფასებებიდან გვაქვს, რომ $P<0$ და $|P|<1$, ამიტომ ბოლო შეფასებიდან და (1.72)-დან საბოლოოდ მივიღებთ, რომ

$$\lim_{n\to+\infty}\left|\frac{-\pi}{d_0(f_0)}\cdot\frac{t_{n,\alpha_n}^{L_n}(f_0;0)}{\ln n}\right| = \lim_{n\to+\infty}\left|\frac{-\pi}{4}\cdot\frac{C_1+C_2}{\ln n}\right| = |P+1| \ne 1.$$

თეორემა 1.2.2 დამტკიცებულია.

თეორემა 1.2.3-ის დამტკიცება.

განვიხილოთ $\tilde{\sigma}_n^{L_n}(f;x)$,

$$\tilde{\sigma}_n^{L_n}(f;x)=\sum_{k=0}^{q(n)} a_{nk}\tilde{S}_k^{L_n}(f;x)=$$

$$=-\frac{1}{L_n}\int_{-L_n}^{L_n} f(t)\sum_{k=0}^{q(n)} a_{nk}\tilde{D}_k^{L_n}(t-x)dt\ ,$$

სადაც $\tilde{D}_k^{L_n}(t)$ განსაზღვრულია (1.10),

ინტეგრალში ცვლადის შეცვლით $u=t-x$ მივიღებთ

$$\tilde{\sigma}_n^{L_n}(f;x)=-\frac{1}{L_n}\int_{-L_n-x}^{L_n-x} f(x+u)\sum_{k=0}^{q(n)} a_{nk}\tilde{D}_k^{L_n}(u)du\ .$$

მეორე მხრივ, თუ ცვლადს შევცვლით $-u=t-x$ და გავითვალისწინებთ, რომ $\tilde{D}_k^{L}(t)$ კენტი ფუნქციაა t-ს მიმართ, მივიღებთ

$$\tilde{\sigma}_n^{L_n}(f;x)=\frac{1}{L_n}\int_{-L_n+x}^{L_n+x} f(x-u)\sum_{k=0}^{q(n)} a_{nk}\tilde{D}_k^{L_n}(u)du\ .$$

საბოლოოდ ინტეგრალის ადიციურობის ძალით გვექნება

$$\tilde{\sigma}_n^{L_n}(f;x)=-\frac{1}{2L_n}\int_{-L_n-x}^{L_n-x} f(x+u)\sum_{k=0}^{q(n)} a_{nk}\tilde{D}_k^{L_n}(u)du+$$

$$+\frac{1}{2L_n}\int_{-L_n+x}^{L_n+x} f(x-u)\sum_{k=0}^{q(n)} a_{nk}\tilde{D}_k^{L_n}(u)du=$$

$$=-\frac{1}{2L_n}\int_{-L_n+x}^{L_n-x} (f(x+u)-f(x-u))\sum_{k=0}^{q(n)} a_{nk}\tilde{D}_k^{L_n}(u)du-$$

$$-\frac{1}{2L_n}\int_{-L_n-x}^{-L_n+x} f(x+u)\sum_{k=0}^{q(n)} a_{nk}\tilde{D}_k^{L_n}(u)du+$$

(1.73)
$$+\frac{1}{2L_n}\int_{L_n-x}^{L_n+x} f(x-u)\sum_{k=0}^{q(n)} a_{nk}\tilde{D}_k^{L_n}(u)du=A_1+A_2+A_3\ .$$

განვიხილოთ A_1. ვინაიდან $f(x+u)-f(x-u)$ და $\tilde{D}_n^{L_n}(u)$ u-ს მიმართ კენტი ფუნქციებია, ამიტომ გვექნება

$$A_1=-\frac{1}{2L_n}\int_{-L_n+x}^{L_n-x} (f(x+u)-f(x-u))\sum_{k=0}^{q(n)} a_{nk}\tilde{D}_k^{L_n}(u)du=$$

$$=-\frac{1}{L_n}\int_{0}^{L_n-x} (f(x+u)-f(x-u))\sum_{k=0}^{q(n)} a_{nk}\tilde{D}_k^{L_n}(u)du=$$

$$=-\frac{1}{L_n}\int_{0}^{L_n} (f(x+u)-f(x-u))\sum_{k=0}^{q(n)} a_{nk}\tilde{D}_k^{L_n}(u)du+$$

(1.74) $$+\frac{1}{L_n}\int_{L_n-x}^{L_n}(f(x+u)-f(x-u))\sum_{k=0}^{q(n)}a_{nk}\tilde{D}_k^{L_n}(u)du=B_1+B_2 .$$

განვიხილოთ $\sum_{k=0}^{q(n)}a_{nk}\tilde{D}_k^{L_n}(u)$, $\tilde{D}_n(u)$-ის წარმოდგენაში (იხ. [21], თავი II, (5.6)) ცვლადის შეცვლით მივიღებთ შეფასებას $\tilde{D}_n^{L_n}(u)$-თვის:

$$|\tilde{D}_n^{L_n}(u)|\le\frac{1}{\sin(\pi u/2L_n)};$$

ხოლო უკანასკნელიდან მივიღებთ

$$\sum_{k=0}^{q(n)}a_{nk}\,|\tilde{D}_k^{L_n}(u)|\le\frac{A_n}{\sin(\pi u/2L_n)},$$

სადაც $A_n=\sum_{k=0}^{q(n)}a_{nk}$ და $A_n\to 1$, $n\to+\infty$.

განვიხილოთ B_2. ბოლო შეფასებიდან (1.8)-ის გათვალისწინებით და ინტეგრალში ცვლადის შეცვლის ძალით დავადგენთ, რომ

$$B_2\le\frac{1}{L_n}\int_{L_n-x}^{L_n}|f(x+u)-f(x-u)|\cdot|\sum_{k=0}^{q(n)}a_{nk}\tilde{D}_k^{L_n}(u)|\,du\le$$

$$\le\frac{1}{L_n}\int_{L_n-x}^{L_n}|f(x+u)-f(x-u)|\cdot\sum_{k=0}^{q(n)}a_{nk}\,|\tilde{D}_k^{L_n}(u)|du\le$$

$$\le\frac{1}{L_n\sin[\pi(L_n-x)/2L_n]}\int_{L_n-x}^{L_n}|f(x+u)-f(x-u)|\sum_{k=0}^{q(n)}a_{nk}du\le$$

$$\le\frac{A_n}{L_n\sin[\pi(L_n-x)/2L_n]}\int_{L_n-x}^{L_n}|f(x+u)-f(x-u)|\,du\le$$

$$\le\frac{A_n}{L_n\sin[\pi(L_n-x)/2L_n]}\int_{L_n-x}^{L_n}\big(|f(x+u)|+|f(x-u)|\big)du=$$

(1.75) $$=\frac{A_n}{L_n\sin[\pi(L_n-x)/2L_n]}\left(\int_{L_n}^{L_n+x}|f(t)|\,dt+\int_{-L_n+2x}^{-L_n+x}|f(t)|\,dt\right)=O(1).$$

ვინაიდან $A_n\to 1$, $n\to+\infty$, შემდეგ შეფასებებში გამოვტოვებთ აღნიშნულ გამოსახულებას.

განვიხილოთ A_2, A_3. მაშინ B_2-ის მსგავსად ადვილი დასანხია, რომ (1.8)-ის და ინტეგრალში ცვლადის შეცვლის ძალით მივიღებთ შეფასებებს:

$$|A_2|\le\frac{1}{2L_n\sin[\pi(L_n-x)/2L_n]}\int_{-L_n-x}^{-L_n+x}|f(x+u)|\,du=$$

(1.76) $$=\frac{1}{2L_n\sin[\pi(L_n-x)/2L_n]}\int_{-L_n}^{-L_n+2x}|f(t)|\,dt=O(1),$$

და

$$|A_3|\le\frac{1}{2L_n\sin[\pi(L_n-x)/2L_n]}\int_{L_n-x}^{L_n+x}|f(x-u)|\,du=$$

$$=\frac{1}{2L_n\sin[\pi(L_n-x)/2L_n]}\int_{-L_n+2x}^{-L_n}|f(t)|\,dt=O(1)\,. \tag{1.77}$$

განვიხილოთ B_1,

$$B_1=-\frac{1}{L_n}\int_0^{L_n}(f(x+u)-f(x-u)-d_x(f))\sum_{k=0}^{q(n)}a_{nk}\tilde{D}_k^{L_n}(u)du-$$

$$-\frac{d_x(f)}{L_n}\int_0^{L_n}\sum_{k=0}^{q(n)}a_{nk}\tilde{D}_k^{L_n}(u)du=C_1+C_2\,.$$

შევაფასოთ C_1. (1.6)-ის ძალით ნებისმიერი დადებითი $\varepsilon>0$ რიცხვისთვის, მოიძებნება დადებითი რიცხვი (საზოგადოდ დამოკიდებული ε-ზე) $\delta=\delta(\varepsilon)$ ისეთი, რომ ადგილი ექნება (1.33).

ვინაიდან

$$\lim_{n\to+\infty}q(n)=+\infty\,,$$

ავიღოთ n იმდენად დიდი, რომ $1/q(n)<\delta$. მაშინ მივიღებთ

$$C_1=-\frac{1}{L_n}\int_0^{1/q(n)}\varphi(x,u)\sum_{k=0}^{q(n)}a_{nk}\tilde{D}_k^{L_n}(u)u-$$

$$-\frac{1}{L_n}\int_{1/q(n)}^{\delta}\varphi(x,u)\sum_{k=0}^{q(n)}a_{nk}\tilde{D}_k^{L_n}(u)du-$$

$$-\frac{1}{L_n}\int_{\delta}^{L_n}\varphi(x,u)\sum_{k=0}^{q(n)}a_{nk}\tilde{D}_k^{L_n}(u)du=-D_1-D_2-D_3\,. \tag{1.78}$$

შევაფასოთ დირიხლეს შეუღლებული (1.10) გულის წრფივი საშუალო. (1.35) ძალით ყოველი u-თვის ადვილად დავასკვნით, რომ

$$\left|\sum_{k=0}^{q(n)}a_{nk}\tilde{D}_k^{L_n}(u)\right|\le\sum_{k=0}^{q(n)}a_{nk}\,|\tilde{D}_k^{L_n}(u)|\le$$

$$\le\sum_{k=0}^{q(n)}a_{nk}k\le q(n)\sum_{k=0}^{q(n)}a_{nk}=A_n\cdot q(n)\,. \tag{1.79}$$

ამიტომ (1.33) და (1.79)-ის ძალით გვექნება

$$|D_1|\le\frac{q(n)}{L_n}\int_0^{1/q(n)}|\varphi(x,u)|\,du<\frac{\varepsilon}{L_n}\,. \tag{1.80}$$

(1.37)-ის გათვალისწინებით მივიღებთ

$$\left|\sum_{k=0}^{q(n)}a_{nk}\tilde{D}_k^{L_n}(u)\right|\le\sum_{k=0}^{q(n)}a_{nk}\,|\tilde{D}_k^{L_n}(u)|\le$$

$$\le\frac{2L_n}{\pi u}\cdot\sum_{k=0}^{q(n)}a_{nk}=\frac{2L_n}{\pi u}\cdot A_n,\ \ 0<u\le L_n\,. \tag{1.81}$$

მაშინ (1.81) შეფასებიდან გამომდინარე სამართლიანია შემდეგი

$$|D_2|\le\frac{1}{L_n}\int_{1/q(n)}^{\delta}|\varphi(x,u)|\frac{2L_n}{\pi u}du=\frac{2}{\pi}\int_{1/q(n)}^{\delta}\frac{|\varphi(x,u)|}{u}du=$$

$$=\frac{2}{\pi}\int_{1/q(n)}^{\delta}\frac{1}{u}d\int_0^u|\varphi(x,t)|\,dt=\frac{2}{\pi}\frac{1}{u}\int_0^u|\varphi(x,t)|\,dt\Bigg|_{1/q(n)}^{\delta}+$$

$$+\frac{2}{\pi}\int_{1/q(n)}^{\delta}\frac{1}{u^2}\int_0^u|\varphi(x,t)|\,dtdu=\frac{2}{\pi}\frac{1}{\delta}\int_0^{\delta}|\varphi(x,t)|\,dt-$$

$$-\frac{2q(n)}{\pi}\int_0^{1/q(n)}|\varphi(x,t)|\,dt+\frac{2}{\pi}\int_{1/q(n)}^{\delta}\frac{1}{u^2}\int_0^u|\varphi(x,t)|\,dtdu\le$$

(1.82) $$\le\frac{2\varepsilon}{\pi}\left(2+\int_{1/q(n)}^{\delta}\frac{du}{u}\right)=\frac{2\varepsilon}{\pi}(2+\ln\delta-\ln 1+\ln q(n)))=o(\ln q(n))\,.$$

ამასთან (1.15) და (1.81)-ის ძალით გვექნება

$$|D_3|\le\frac{1}{L_n}\int_{\delta}^{L_n}|\varphi(x,u)|\frac{2L_n}{\pi u}du=\frac{2}{\pi}\int_{\delta}^{L_n}\frac{|\varphi(x,u)|}{u}du=$$

$$=\frac{2}{\pi}\int_{\delta}^{1}\frac{|\varphi(x,u)|}{u}du+\frac{2}{\pi}\int_{1}^{L_n}\frac{|\varphi(x,u)|}{u}du\le\frac{2}{\pi\delta}\int_{\delta}^{1}|\varphi(x,u)|\,du+$$

(1.83) $$+\frac{2}{\pi}\int_{1}^{L_n}\frac{|\varphi(x,u)|}{u}du=O(1)+o(\ln q(n))\,.$$

(1.78)-(1.83)-დან გამომდინარეობს შემდეგი შეფასება

(1.84) $$\lim_{n\to+\infty}\frac{C_1}{\ln q(n)}=0\,.$$

განვიხილოთ C_2.

$$C_2=-\frac{d_x(f)}{L_n}\int_0^{L_n}\sum_{k=0}^{q(n)}a_{nk}\tilde{D}_k^{L_n}(u)du=$$

$$=-\frac{d_x(f)}{L_n}\sum_{k=0}^{q(n)}a_{nk}\int_0^{L_n}\tilde{D}_k^{L_n}(u)du=-\frac{d_x(f)}{L_n}\sum_{k=0}^{q(n)}a_{nk}U_k^{L_n}\,,$$

სადაც

$$U_k^{L_n}\equiv\int_0^{L_n}\tilde{D}_k^{L_n}(u)du\,.$$

(1.41)-ის ძალით ყოველი $\varepsilon>0$-თვის არსებობს ისეთი $N=N(\varepsilon)$, რომ ყოველი $k\ge N$, გვაქვს (1.71). განვიხილოთ

$$\sum_{k=0}^{q(n)}a_{nk}U_k^{L_n}=\sum_{k=0}^{N}a_{nk}U_k^{L_n}+\sum_{k=N+1}^{q(n)}a_{nk}U_k^{L_n}\le$$

$$\le F_1(N)\sum_{k=0}^{N}a_{nk}+(1+\varepsilon)\ln q(n)\sum_{k=N+1}^{q(n)}a_{nk}\le$$

$$\le F_1(N)A_n+(1+\varepsilon)\ln q(n)A_n\,,$$

სადაც

$$F_1(N)=\max_{1\le k\le N}|U_k^{L_n}|\,.$$

საბოლოოდ მატრიცის რეგულარობის ძალით მივიღებთ

(1.85) $$\overline{\lim_{n\to+\infty}}\frac{-\pi D_2}{d_x(f)\ln q(n)}\le 1\,.$$

რაც (1.73)-(1.84)-თან ერთად ამტკიცებს (1.16)-ს და მასთან ერთად (i) ა)-ს.

(i) ბ) ავირჩიოთ ნებისმიერი $\beta\in[0;1]$. შევადგინოთ მიმდევრობა $\beta(n)\to\beta$ ისე, რომ $q^{\beta(n)}(n)\to+\infty$, $n\to+\infty$. ავაგოთ (a_{nk}) მატრიცი შემდეგნაირად

$$a_{nk}=\begin{cases}1, & \text{თუ } k=[q^{\beta(n)}(n)],\\ 0, & \text{თუ } k\neq[q^{\beta(n)}(n)].\end{cases}$$

ადვილი მისახვედრია, რომ (a_{nk}) მატრიცი რეგულარულია.

ცხადია (1.73)-(1.84) შეფასებები ამ შემთხვევაშიც ძალაში დარჩება ვინაიდან აღნიშნული შეფასებები მიღებული იყო ნებისმიერი დადებითი რეგულარული მატრიცებისთვის, ჩვენს მიერ აგებული მატრიცი ცხადია რეგულარულია და დადებითი.

ამგვარად შესაფასებელი დარჩა C_2 წევრი. (1.71)-ის ძალით გვაქვს:

$$\frac{1}{\ln q(n)}\sum_{k=0}^{q(n)}a_{nk}U_k^{L_n}=\frac{U^{L_n}_{\left[q^{\beta(n)}(n)\right]}}{\ln q(n)}\leq\frac{(1+\varepsilon)\cdot L_n\cdot\ln\left[q^{\beta(n)}(n)\right]}{\pi\cdot\ln q(n)}\leq$$

$$\leq\frac{(1+\varepsilon)\cdot L_n\cdot\ln q^{\beta(n)}(n)}{\pi\cdot\ln q(n)}\leq\frac{(1+\varepsilon)\cdot L_n\cdot\beta(n)}{\pi},$$

ე. ი.

$$\overline{\lim_{n\to+\infty}}\frac{\pi}{L_n\cdot\ln q(n)}\int_0^{L_n}\sum_{k=0}^{q(n)}a_{nk}\tilde{D}_k^{L_n}(t)dt\leq\beta .$$

მეორე მხრივ,

$$\frac{1}{\ln q(n)}\sum_{k=0}^{q(n)}a_{nk}U_k^{L_n}=\frac{U^{L_n}_{\left[q^{\beta(n)}(n)\right]}}{\ln q(n)}\geq\frac{(1-\varepsilon)\cdot L_n\cdot\ln\left[q^{\beta(n)}(n)\right]}{\pi\cdot\ln q(n)}\geq$$

$$\geq\frac{(1-\varepsilon)\cdot L_n\cdot\ln(q^{\beta(n)}(n)/2)}{\pi\cdot\ln q(n)}=\frac{(1-\varepsilon)\cdot L_n\cdot\beta(n)}{\pi}-\frac{(1-\varepsilon)\cdot L_n\cdot\ln 2}{\pi\cdot\ln q(n)}.$$

ვინაიდან $\lim\limits_{n\to+\infty}q(n)=+\infty$, ამიტომ

$$\underline{\lim_{n\to+\infty}}\frac{\pi}{L_n\cdot\ln q(n)}\int_0^{L_n}\sum_{k=0}^{q(n)}a_{nk}\tilde{D}_k^{L_n}(t)dt\geq\beta ,$$

ე. ი. საბოლოოდ გვექნება

(1.86) $$\lim_{n\to+\infty}\frac{C_2}{\ln q(n)}=-\frac{\beta\cdot d_x(f)}{\pi},$$

(1.73)-(1.84) შეფასებები უკანასკნელთან ერთად ერთად ამტკიცებს (1.17)-ს და მასთან ერთად ასრულებს თეორემა 1.2.3-ის (i) ნაწილის მტკიცებას.

დავამტკიცოთ (ii).

განვიხილოთ შემთხვევა, როცა $q(n)=n$. ფუნქცია განვსაზღვროთ (1.43) ფორმულით. დავუშვათ $L_n=\sqrt{n}$. f_0 ფუნქციისთვის და L_n მიმდევრობისთვის 0-წერტილში სრულდება (1.6) და (1.18), რასაც ამტკიცებს (1.44) და (1.45) შეფასებები.

განვიხილოთ $\beta\in[0;1]$ და მისი შესაბამისი დადებითი, რეგულარული სამკუთხა მატრიცი. ვინაიდან მატრიცი დადებითია და რეგულარულიც ვასკვნით, რომ (1.43)-ით განსაზღვრული ფუნქციისთვის (1.75)-(1.82) შეფასებები ძალაში დარჩება. ამიტომ შესაფასებელი რჩება (1.78) წარმოდგენიდან D_3 შესაკრები. რადგან $\varphi(0,u)=0$, როცა $u\in(0;1)$ გვაქვს

$$D_3=\frac{1}{L_n}\int_1^{L_n}\varphi(0,u)\sum_{k=0}^{n}a_{nk}\tilde{D}_k^{L_n}(u)du=$$

$$=\frac{1}{L_n}\int_1^{L_n}\varphi(0,u)\sum_{k=0}^{n}a_{nk}\tilde{D}_k^{*L_n}(u)du+\frac{1}{2L_n}\int_1^{L_n}\varphi(0,u)\sum_{k=0}^{n}a_{nk}\sin(\pi ku/L_n)du=E_1+E_2.$$

შევაფასოთ E_2. ვიცით, რომ $-8\le\varphi(0,u)\le 0$

$$|E_2|\le\frac{1}{2L_n}\int_1^{L_n}|\varphi(0,u)|\sum_{k=0}^{n}a_{nk}|\sin(\pi ku/L_n)|du\le$$

$$\le\frac{A_n}{2L_n}\int_1^{L_n}|\varphi(0,u)|du\le\frac{A_n}{2L_n}\int_1^{L_n}8du\le 4A_n.$$

განვიხილოთ E_1. (1.49)-ის ძალით გვაქვს

$$E_1=\frac{1}{L_n}\int_1^{L_n}\varphi(0,u)\sum_{k=0}^{n}a_{nk}\frac{1-\cos(\pi ku/L_n)}{2\tan(\pi u/2L_n)}du.$$

შევაფასოთ $|E_1|$ ზემოდან

$$|E_1|=\frac{1}{L_n}\int_1^{L_n}|\varphi(0,u)|\sum_{k=0}^{n}a_{nk}\frac{1-\cos(\pi ku/L_n)}{2\tan(\pi u/2L_n)}du\le$$

$$\le\frac{1}{\pi}\int_1^{L_n}\frac{|\varphi(0,u)|}{u}\sum_{k=0}^{n}a_{nk}(1-\cos(\pi ku/L_n))du$$

ნაწილობითი ინტეგრებით გვექნება

$$\frac{1}{\pi}\int_1^{L_n}\frac{1}{u}d\int_0^{u}|\varphi(0,s)|\sum_{k=0}^{n}a_{nk}(1-\cos(\pi ks/L_n))ds=$$

$$=\frac{1}{\pi L_n}\int_0^{L_n}|\varphi(0,s)|\sum_{k=0}^{n}a_{nk}(1-\cos(\pi ks/L_n))ds-$$

$$-\frac{1}{\pi}\int_0^{1}|\varphi(0,s)|\sum_{k=0}^{n}a_{nk}(1-\cos(\pi ks/L_n))ds+$$

$$+\frac{1}{\pi}\int_1^{2}\frac{1}{u^2}\int_0^{u}|\varphi(0,s)|\sum_{k=0}^{n}a_{nk}(1-\cos(\pi ks/L_n))dsdu+$$

$$+\frac{1}{\pi}\int_2^{L_n}\frac{1}{u^2}\int_0^{u}|\varphi(0,s)|\sum_{k=0}^{n}a_{nk}(1-\cos(\pi ks/L_n))dsdu=F_1-F_2+F_3+F_4.$$

გვაქვს

$$F_1\le\frac{2A_n}{\pi L_n}\int_0^{L_n}|\varphi(0,s)|ds\le\frac{2A_n}{\pi L_n}\int_0^{L_n}8ds=\frac{16A_n}{\pi}.$$

ვინაიდან $\varphi(0,u)=0$, როცა $u\in(0;1)$ გვაქვს

$$F_2=\frac{1}{\pi}\int_0^{1}|\varphi(0,s)|\sum_{k=0}^{n}a_{nk}(1-\cos(\pi ks/L_n))ds=0,$$

$$F_3\le\frac{2A_n}{\pi}\int_1^{2}\frac{1}{u^2}\int_0^{u}|\varphi(0,s)|dsdu\le\frac{16A_n}{\pi}\int_1^{2}\frac{1}{u^2}du\le\frac{16A_n}{\pi}.$$

$$F_4=\frac{A_n}{\pi}\int_2^{L_n}\frac{1}{u^2}\int_0^{u}|\varphi(0,s)|dsdu-$$

$$-\frac{1}{\pi}\int_2^{L_n}\frac{1}{u^2}\int_0^{u}|\varphi(0,s)|\sum_{k=0}^{n}a_{nk}\cos(\pi ks/L_n)dsdu=G_1-G_2.$$

განვიხილოთ G_2. ადვილი დასანახია, რომ G_2 წარმოადგენს (1.52) წარმოდგენიდან H_2-შესაკრების წრფივ საშუალოს, ამიტომ მატრიცის რეგულარობიდან გამომდინარე G_2 შესაკრებისთვისაც მივიღებთ ანალოგიურ შეფასებას $G_2 = o(\ln n)$. (1.45) შეფასების მსგავსად გვაქვს

$$G_1 = \frac{A_n}{\pi}\int_2^{L_n}\frac{1}{u^2}\int_0^u |\varphi(0,s)|\,dsdu \simeq \frac{4A_n}{\pi}\ln L_n = \frac{2A_n}{\pi}\ln n\ .$$

საბოლოოდ

$$\overline{\lim_{n\to+\infty}}\frac{|D_3|}{\ln n} \le \frac{2}{\pi}\ .$$

მეორე მხრივ, განვიხილოთ $|E_1|$-ის შეფასება ქვემოდან.

$$|E_1| = \frac{1}{L_n}\int_1^{L_n}|\varphi(0,u)|\sum_{k=0}^n a_{nk}\frac{1-\cos(\pi ku/L_n)}{2\tan(\pi u/2L_n)}du \ge$$

$$\ge \frac{1}{L_n}\int_1^{L_n/\ln L_n}|\varphi(0,u)|\sum_{k=0}^n a_{nk}\frac{1-\cos(\pi ku/L_n)}{2\tan(\pi u/2L_n)}du \ge$$

$$\ge \frac{\cos(\pi/2\ln L_n)}{2L_n}\int_1^{L_n/\ln L_n}\frac{|\varphi(0,u)|}{\sin(\pi u/2L_n)}\sum_{k=0}^n a_{nk}(1-\cos(\pi ku/L_n))du \ge$$

$$\ge \frac{\cos(\pi/2\ln L_n)}{\pi}\int_1^{L_n/\ln L_n}\frac{|\varphi(0,u)|}{u}\sum_{k=0}^n a_{nk}(1-\cos(\pi ku/L_n))du$$

ნაწილობითი ინტეგრებით გვექნება

$$\int_1^{L_n/\ln L_n}\frac{1}{u}d\int_0^u|\varphi(0,s)|\sum_{k=0}^n a_{nk}(1-\cos(\pi ks/L_n))ds =$$

$$= \frac{\ln L_n}{L_n}\int_0^{L_n/\ln L_n}|\varphi(0,s)|\sum_{k=0}^n a_{nk}(1-\cos(\pi ks/L_n))ds -$$

$$-\int_0^1|\varphi(0,s)|\sum_{k=0}^n a_{nk}(1-\cos(\pi ks/L_n))ds +$$

$$+\int_1^2\frac{1}{u^2}\int_0^u|\varphi(0,s)|\sum_{k=0}^n a_{nk}(1-\cos(\pi ks/L_n))dsdu +$$

$$+\int_2^{L_n/\ln L_n}\frac{1}{u^2}\int_0^u|\varphi(0,s)|\sum_{k=0}^n a_{nk}(1-\cos(\pi ks/L_n))dsdu = I_1 - I_2 + I_3 + I_4$$

გვაქვს

$$I_1 \le \frac{2A_n\ln L_n}{L_n}\int_0^{L_n/\ln L_n}|\varphi(0,s)|\,ds \le \frac{2A_n\ln L_n}{L_n}\int_0^{L_n/\ln L_n}8ds = 2A_n\ .$$

ვინაიდან $\varphi(0,u) = 0$, როცა $u \in (0;1)$ გვაქვს

$$I_2 = \int_0^1|\varphi(0,s)|\sum_{k=0}^n a_{nk}(1-\cos(\pi ks/L_n))ds = 0\ .$$

$$I_3 \le 2A_n\int_1^2\frac{1}{u^2}\int_0^u|\varphi(0,s)|\,dsdu \le 16A_n\int_1^2\frac{1}{u^2}du \le 16A_n\ .$$

$$I_4 = A_n\int_2^{L_n/\ln L_n}\frac{1}{u^2}\int_0^u|\varphi(0,s)|\,dsdu -$$

$$-\int_2^{L_n/\ln L_n}\frac{1}{u^2}\int_0^u|\varphi(0,s)|\sum_{k=0}^n a_{nk}\cos(\pi ks/L_n)dsdu=J_1-J_2\,.$$

J_2 შესაკრები შეფასდება G_2-ის ანალოგიურად. ანუ $J_2=o(\ln n)$. (1.45) შეფასების მსგავსად გვექნება

$$J_1=A_n\int_2^{L_n/\ln L_n}\frac{1}{u^2}\int_0^u|\varphi(0,s)|\,dsdu\simeq 4A_n\ln(L_n/\ln L_n)=$$

$$=4A_n(\ln L_n-\ln\ln L_n)=2A_n\ln n+o(\ln n)\,.$$

ბოლო შეფასებაზე დაყრდნობით დავასკვნით, რომ

$$|E_1|\ge\frac{2A_n\cos(\pi/2\ln L_n)}{\pi}\ln n+o(\ln n)\,.$$

საბოლოოდ

$$\varliminf_{n\to+\infty}\frac{|D_3|}{\ln n}\ge\frac{2}{\pi}\,.$$

$|D_3|$-ის მიღებული შეფასებებიდან და იმ ფაქტიდან, რომ $D_3<0$ გვაქვს

$$\lim_{n\to+\infty}\frac{D_3}{\ln n}=-\frac{2}{\pi}\,.$$

რადგან მატრიცი დადებითი და რეგულარულია ამიტომ სამართლიანია (1.73)-(1.82). აგრეთვე ძალაშია (1.86) შეფასებაც, რომლის ძალით გვაქვს

(1.87)
$$\lim_{n\to+\infty}\frac{-\pi}{4}\frac{C_2}{\ln n}=\beta\,.$$

უკანასკნელი შეფასებებიდან შეგვიძლია დავასკვნათ, რომ

$$\lim_{n\to+\infty}\left|\frac{-\pi}{d_0(f)}\cdot\frac{\sigma_{q(n)}^{L_n}(f_0;0)}{\ln n}\right|=\lim_{n\to+\infty}\left|\frac{-\pi}{4}\cdot\frac{C_1+C_2}{\ln n}\right|=$$

$$=\lim_{n\to+\infty}\left|\frac{-\pi}{4}\frac{C_1}{\ln n}+\beta\right|=\lim_{n\to+\infty}\left|\frac{\pi}{4}\frac{D_1+D_2+D_3}{\ln n}+\beta\right|=\left|\beta-\frac{1}{2}\right|.$$

თეორემა 1.2.3 დამტკიცებულია.

თეორემა 1.2.4-ის დამტკიცება.

განვიხილოთ $\tilde f^{L(r)}(r,x)$,

$$\tilde f^{L(r)}(r,x)\equiv\sum_{k\in\mathbb{Z}}(-i\,\mathrm{sig}\,k)\,\hat f(k)e^{i\pi kx/L(r)}r^{|k|}=$$

$$=-\frac{1}{L(r)}\int_{-L(r)}^{L(r)}f(t)Q_{L(r)}(r,t-x)dt\,,$$

სადაც $Q_{L(r)}(r,t)$ განსაზღვრულია (1.20) ტოლობით ინტეგრალში ცვლადის შეცვლით $u=t-x$ მივიღებთ

$$\tilde f^{L(r)}(r,x)=-\frac{1}{L(r)}\int_{-L(r)-x}^{L(r)-x}f(x+u)Q_{L(r)}(r,u)du\,.$$

მეორე მხრივ, თუ ცვლადს შევცვლით: $-u=t-x$ და გავითვალისწინებთ, რომ $Q_{L(r)}(r,t)$ კენტი ფუნქციაა t-ს მიმართ, მივიღებთ

$$\tilde{f}^{L(r)}(r,x)=\frac{1}{L(r)}\int_{-L(r)+x}^{L(r)+x} f(x-u)Q_{L(r)}(r,u)du\,.$$

საბოლოოდ ინტეგრალის ადიციურობის ძალით გვექნება

$$\tilde{f}^{L(r)}(r,x)=-\frac{1}{2L(r)}\int_{-L(r)-x}^{L(r)-x} f(x+u)Q_{L(r)}(r,u)du+$$

$$+\frac{1}{2L(r)}\int_{-L(r)+x}^{L(r)+x} f(x-u)Q_{L(r)}(r,u)du=$$

$$=-\frac{1}{2L(r)}\int_{-L(r)+x}^{L(r)-x} (f(x+u)-f(x-u))Q_{L(r)}(r,u)du-$$

$$-\frac{1}{2L(r)}\int_{-L(r)-x}^{-L(r)+x} f(x+u)Q_{L(r)}(r,u)du+$$

(1.88) $$+\frac{1}{2L(r)}\int_{L(r)-x}^{L(r)+x} f(x-u)Q_{L(r)}(r,u)du=A_1+A_2+A_3\,.$$

განვიხილოთ A_1. ვინაიდან $f(x+u)-f(x-u)$ და $Q_{L(r)}(r,u)$ u-ს მიმართ კენტი ფუნქციებია, ამიტომ გვექნება

$$A_1=-\frac{1}{2L(r)}\int_{-L(r)+x}^{L(r)-x} (f(x+u)-f(x-u))Q_{L(r)}(r,u)du=$$

$$=-\frac{1}{L(r)}\int_{0}^{L(r)-x} (f(x+u)-f(x-u))Q_{L(r)}(r,u)du=$$

$$=-\frac{1}{L(r)}\int_{0}^{L(r)} (f(x+u)-f(x-u))Q_{L(r)}(r,u)du+$$

(1.89) $$+\frac{1}{L(r)}\int_{L(r)-x}^{L(r)} (f(x+u)-f(x-u))Q_{L(r)}(r,u)du=B_1+B_2\,.$$

$Q(r,u)$-ის წარმოდგენიდან (იხ. [21], თავი III, (6.3)) ცვლადის შეცვლით და მარტივი შეფასებით მივიღებთ

(1.90) $$|Q_{L(r)}(r,t)|\le\frac{1}{2\sin(\pi t/2L(r))}\,.$$

განვიხილოთ B_2. მაშინ (1.90) ის ძალით ადვილი დასანახია, რომ ინტეგრალში ცვლადის შეცვლით და (1.8)-ის გამოყენებით გვექნება

$$B_2\le\frac{1}{L(r)}\int_{L(r)-x}^{L(r)} |f(x+u)-f(x-u)|\cdot|Q_{L(r)}(r,u)|\,du\le$$

$$\le\frac{1}{2L(r)\sin[\pi(L(r)-x)/2L(r)]}\int_{L(r)-x}^{L(r)} |f(x+u)-f(x-u)|\,du\le$$

$$\le\frac{1}{2L(r)\sin[\pi(L(r)-x)/2L(r)]}\int_{L(r)-x}^{L(r)} \left(|f(x+u)|+|f(x-u)|\right)du=$$

(1.91) $$=\frac{1}{2L(r)\sin[\pi(L(r)-x)/2L(r)]}\left(\int_{L(r)}^{L(r)+x}|f(t)|\,dt+\int_{-L(r)+2x}^{-L(r)+x}|f(t)|\,dt\right)=O(1)\,.$$

განვიხილოთ A_2, A_3. B_2-ის მსგავსად ადვილი დასანხია, რომ ინტეგრალში ცვლადის შეცვლით და (1.8), (1.90) თანაფარდობების გამოყენებით მივიღებთ შეფასებებს:

$$|A_2| \le \frac{1}{2L(r)\sin[\pi(L(r)-x)/2L(r)]}\int_{-L(r)-x}^{-L(r)+x}|f(x+u)|\,du =$$

$$= \frac{1}{2L(r)\sin[\pi(L(r)-x)/2L(r)]}\int_{-L(r)}^{-L(r)+2x}|f(t)|\,dt = O(1)\,, \tag{1.92}$$

და

$$|A_3| \le \frac{1}{2L(r)\sin[\pi(L(r)-x)/2L(r)]}\int_{L(r)-x}^{L(r)+x}|f(x-u)|\,du =$$

$$= \frac{1}{2L(r)\sin[\pi(L(r)-x)/2L(r)]}\int_{-L(r)+2x}^{-L(r)}|f(t)|\,dt = O(1)\,. \tag{1.93}$$

განვიხილოთ B_1:

$$B_1 = -\frac{1}{L(r)}\int_0^{L(r)}(f(x+u)-f(x-u)-d_x(f))Q_{L(r)}(r,u)\,du -$$

$$-\frac{d_x(f)}{L(r)}\int_0^{L(r)}Q_{L(r)}(r,u)\,du = C_1 + C_2\,. \tag{1.94}$$

შევაფასოთ C_2. $Q(r,u)$ წარმოდგენიდან (იხ. [21], თავი III, (6.3)) და ცვლადის $t=\pi u/L(r)$ გარდაქმნით გვექნება

$$C_2 = -\frac{d_x(f)}{L(r)}\int_0^{L(r)}\frac{r\sin(\pi u/L(r))}{(1-r)^2+4r\sin^2(\pi u/2L(r))}\,du =$$

$$= -\frac{d_x(f)}{\pi}\int_0^{\pi}\frac{r\sin t}{(1-r)^2+4r\sin^2(t/2)}\,dt\,.$$

ადვილი შესამოწმებელია, რომ

$$\left(\frac{\ln((1-r)^2+4\sin^2(t/2))}{2}\right)' = \frac{r\sin t}{(1-r)^2+4r\sin^2(t/2)}\,.$$

ამგვარად, გვაქვს

$$C_2 = -\frac{d_x(f)}{\pi}\left(\frac{\ln((1-r)^2+4r\sin^2(t/2))}{2}\right)_0^{L(r)} =$$

$$= -\frac{d_x(f)}{2\pi}\ln((1-r)^2+4r\sin^2(\pi/2)) +$$

$$+\frac{d_x(f)}{2\pi}\ln((1-r)^2+4r\sin^2 0) =$$

$$= -\frac{d_x(f)}{2\pi}\ln(1-2r+r^2+4r) + \frac{d_x(f)}{2\pi}\ln(1-r)^2 =$$

$$= \frac{d_x(f)}{\pi}\big(\ln(1-r)-\ln(1+r)\big) \simeq \frac{d_x(f)}{\pi}\ln(1-r)\,. \tag{1.95}$$

როცა $r \to 1-$.

შევაფასოთ C_1. (1.6)-ის ძალით ნებისმიერი დადებითი $\varepsilon > 0$ რიცხვისთვის, მო-

ძებნება დადებითი რიცხვი (საზოგადოდ დამოკიდებული ε-ზე) $\delta=\delta(\varepsilon)$ ისეთი, რომ ადგილი ექნება (1.33). უკანასკნელის გათვალისწინებით განვიხილოთ წარმოდგენა

$$C_1=-\frac{1}{L(r)}\int_0^{\delta}\varphi(x,u)Q_{L(r)}(r,u)u-$$

(1.96)
$$-\frac{1}{L(r)}\int_{\delta}^{L(r)}\varphi(x,u)Q_{L(r)}(r,u)du=-D_1-D_2\,.$$

შევაფასოთ D_1. u-ს მიმართ ნაწილობითი ინტეგრებით და შეფასებით $0\le Q_{L(r)}(r,u)$, $u\in[0;L(r)]$, გვექნება

$$D_1=\frac{1}{L(r)}\int_0^{\delta}\varphi(x,u)Q_{L(r)}(r,u)du=$$

$$=\frac{1}{L(r)}\int_0^{\delta}Q_{L(r)}(r,u)d\int_0^{u}\varphi(x,s)ds=$$

$$=\frac{1}{L(r)}Q_{L(r)}(r,u)\int_0^{u}\varphi(x,s)ds\Bigg|_0^{\delta}-\frac{1}{L(r)}\int_0^{\delta}Q'_{L(r)}(r,u)\int_0^{u}\varphi(x,s)dsdu=$$

(1.97)
$$=\frac{1}{L(r)}Q_{L(r)}(r,\delta)\int_0^{\delta}\varphi(x,u)du-\frac{1}{L(r)}\int_0^{\delta}Q'_{L(r)}(r,u)\int_0^{u}\varphi(x,s)dsdu=E_1-E_2\,.$$

(1.33) და (1.90)-ის ძალით

$$E_1\le\frac{1}{L(r)}Q_{L(r)}(r,\delta)\int_0^{\delta}|\varphi(x,s)|\,ds\le$$

(1.98)
$$\le\frac{1}{2L(r)\sin(\pi\delta/2L(r))}\int_0^{\delta}|\varphi(x,s)|\,ds\le\frac{2}{\pi\delta}\int_0^{\delta}|\varphi(x,s)|\,ds<\frac{2\varepsilon}{\pi}\,.$$

დავუშვათ γ ისეთი წერტილია სადაც $Q'_{L(r)}(r,u)$ იცვლის ნიშანს, ცხადია, რომ ის ნიშანს ერთხელ შეიცვლის $[0;L(r)]$-შუალედში. ამიტომ ინტეგრალის მონოტონობისა და (1.33)-ის გამო

$$|E_2|\le\frac{1}{L(r)}\int_0^{\delta}|Q'_{L(r)}(r,u)|\int_0^{u}|\varphi(x,s)|\,dsdu\le$$

